

შპს „ნიუ გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს "ნიუ გრუპ"

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6-13

შპს „ნიუ გრუპი“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან		629 744	6 319 474
რეალზებლო პროდუქციის			
თვითღირებულება		(506 910)	(4 435 913)
სულ შემოსავლები		122 834	1 883 561
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		783 777	1 012
რეკლამის ხარჯი		-	(33 278)
შრომის ანაზღაურება		(180 291)	(266 425)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(52 382)	(102 079)
წმინდა ზარალი კურსთა შორის სხვაობით	6	(445 342)	(676 950)
ფინანსური ხარჯები		(578 218)	(347 489)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1 439)	(27 120)
სულ ხარჯები		(473 895)	(1 452 329)
მოგების გადასახადის ხარჯი		(3)	(1 073)
მოგება დაბეგვრამდე		(351 064)	430 159

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
ლაშა ზაგრატიონი

შპს „ნიუ გრუპ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		14 333	18 248
მონაწილეობა შვილობილ საწარმოში	7	4 838 920	1 238 722
მონაწილეობა ასოცირებულ კომპანიაში	7	5 625 625	5 625 625
სულ გრძელვადიანი აქტივები		10 478 878	6 882 595
მიმდინარე აქტივები			
მისაღები პროცენტები		-	88
წინასწარ გაწეული ხარჯები		40	40
მარაგები		423 244	928 073
საგადასახადო აქტივები		-	14 833
მომწოდებლებზე გადახდილი და სხვა ავანსები		121 603	11 619
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	352 811	-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	24 506	65 913
სულ მიმდინარე აქტივები		922 204	1 020 566
სულ აქტივები		11 401 082	7 903 161
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		219 100	69 100
გაუნაწილებელი მოგება		60 849	411 913
სულ კაპიტალი		279 949	481 013
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	6 630 716	2 349 819
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6 630 716	2 349 819
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		14 264	-
მოკლევადიანი სესხები	10	3 009 873	3 720 786
მიღებული ავანსები		12 598	318 558
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1 453 682	1 032 985
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 490 417	5 072 329
სულ ვალდებულებები		11 121 133	7 422 148
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11 401 082	7 903 161

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
ლაშა ზაგრატიონი

შპს „ნიუ გრუპ“
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 (თანხები მოცემული ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	69 100	411 913	481 013
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(351 064)	(351 064)
კაპიტალის ზრდა	150 000	-	150 000
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	219 100	60 849	279 949

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

 დირექტორი
 ლაშა ბაგრატიონი

შპს „ნიუ გრუპ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	2019	2018
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	297 691	4 279 070
მიღებული ავანსები	84 380	3 103 286
სხვა შემოსავლები	65 329	135 141
მოწოდებისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(3 771 096)	(5 763 196)
გადახდილი ავანსები	(116 281)	(869 755)
გადახდილი ხელფასები	(100 095)	(1 030 487)
გადახდილი გადასახადები	(70 727)	(930 000)
სხვა ფულადი ხარჯები	(6 610)	(153 562)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(3 617 409)	(1 229 503)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	194	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(232 573)	(3 814 140)
შვილობილი კომპანიის კაპიტალის ზრდა	(122 200)	(990 679)
შვილობილი კომპანიის კაპიტალის შემცირება	1 218 234	4 145 162
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	863 655	(659 657)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
აღებული სესხები	6 752 492	12 121 117
კაპიტალის გაზრდა	94 013	-
გადახდილი პროცენტები	(627 172)	(484 958)
დაფარული სესხები	(3 558 177)	(10 160 817)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	2 661 156	1 475 342
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდში	(92 598)	(413 818)
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	51 191	(11 680)
ფულადი სახსრებისა წმინდა ცვლილება	(41 407)	(425 498)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	65 913	491 411
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	24 506	65 913

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
ლამა ბაგრატიონი

1. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნიუ გრუპ“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2017 წლის 25 აპრილს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405203694.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ნიუ გრუპის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალსართულიანი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

იურიდიული მისამართი. საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ქ. N 129, სართული 13, ბინა 143

კომპანიის მეწილეები არიან 55%-ით შპს “თი ელ ჯი“ და 45%-ით ფ/პ მზია მაღალაშვილ. 2019 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო სიობრივი რაოდენობა შედგენდა 10 კაცს.

წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31-დეკ-2019	01-იან-2019
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპები

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები კვუფების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
შენობა ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ელექტროგადამცემის საშუალებები	8%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სპეციალური ინსტრუმენტები	20%
1 000 ლარამდე ღირებულების ძრ. საშუალებები	20%

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები.

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი.

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება

დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება.

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი.

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

ხარჯების აღიარება.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
სოციალური დანარიცხები	2 740	-
საიჯარო ქირა	6 395	20 753
საკანცელარიო ხარჯები	110	95
საოფისე ინვენტარის ხარჯები	51	51
კომუნალური ხარჯები	2 208	2 219
საკონსულტაციო ხარჯები	1 017	440
ცვეთა და ამორტიზაცია	2 671	4 933
სხვა საგადასახადო ხარჯები	423	462
საბანკო ხარჯები	6 620	43 876
სხვა საერთო ხარჯები	30 147	29 250
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	52 382	102 079

6. ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა

ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	2019	2018
დადებითი საკურსო სხვაობები	(160 935)	(643 772)
უარყოფითი საკურსო სხვაობები	606 277	1 320 722
ჯამი	445 342	676 950

7. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	მონაწილეობა	2019	2018
შპს ოქროს კიდობანი	21%	5 625 625	5 625 625
შპს ნიუ გრუპ ქავთარაძე	99.9%	4 583 900	-
შპს ემკა დეველოპმენტი	100%	245 520	1 238 722
შპს ნიუ გრუპ პუშკინი	100%	9 500	-
ჯამი		10 464 545	6 864 347

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2019	2018
მოთხოვნები დამფუძნებლების წინაშე	55 987	-
სხვა მოთხოვნები	296 824	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	352 811	-

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	14 570	-
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	6 233	18 901
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	3 703	47 012
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	24 506	65 913

10. სესხები

სესხის გამცემი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	2019	2018
ჰალიკ ბანკი	დოლარი	8.5%	08.04.2023	1 720 620	-
შპს თი ელ ჯი	დოლარი	9%	15.06.2021	1 090 243	1 019 916
ჰალიკ ბანკი	დოლარი	8.5%	26.07.2027	952 781	969 506
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	30.10.2019	870 374	812 374
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7.0%	26.12.2020	861 300	-
შპს ემკა დეველოპმენტი	ლარი	9%	11.04.2020	698 000	-
ჰალიკ ბანკი	დოლარი	8.5%	08.04.2023	573 540	-
შპს თი ელ ჯი	დოლარი	9%	14.05.2021	287 989	269 858
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	09.03.2021	287 430	-
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	09.03.2021	287 430	-
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	09.03.2021	287 430	-
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	21.05.2020	251 357	-
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	21.05.2020	251 357	-
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	21.05.2020	251 357	-
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	21.05.2020	251 357	-
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	31.12.2020	229 416	-
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	25.05.2020	201 509	-
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	09.03.2021	143 715	-
შპს თი ელ ჯი	დოლარი	9%	31.05.2021	143 384	134 358
ჰალიკ ბანკი	დოლარი	8.5%	07.03.2019	-	150 032
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	23.12.2019	-	240 715
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	24.12.2019	-	240 715
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	25.12.2019	-	240 715
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	26.12.2019	-	240 715
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	30.10.2019	-	812 374
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	20.12.2019	-	134 189
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	20.12.2019	-	268 379
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	21.12.2019	-	268 379
ვი თი ბი ბანკი	დოლარი	7%	22.12.2019	-	268 380
სულ სესხები				9 640 589	6 070 605

ვადიანობა	2019	2018
ერთ წლამდე	3 009 873	3 720 786
ერთ წელზე მეტი	6 630 716	2 349 819
სულ:	9 640 589	6 070 605

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2019	2018
ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე	67 093	14 422
სხვა ვალდებულებები	1 386 589	1 018 563
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 453 682	1 032 985

12. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოლიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

13. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელის მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.